წელიწადი I-ლი ოთხშაბათი 19 იანვარი ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.
4 " " " . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 13 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროშალ-სხირტლაძის

დღეს სურათი ულამაზესი კოვანკოს და პოლონსკის მონაწილეობით მუსიკა ვერტინსკისა.

სალამო ბატონისა

ანონსი: კვირიდან 17 იანვრიდან გრანდიოზული ახალი საინტერესო პროგრამმა.
კინო პიესა 4 აქტად პროლოგით

დასასრულ ა რ ე უ ლ ი ა დ რ ე ს ე ბ ი. კომიკური.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილად.

ორშაბათიდან 17 იანვრიდან გრანდიოზული სურათები

მათ მეგობრობაში ზღვა უხამია.

დრამა 5 ნაწილად.

დასასრულ ჟურნალი ომისა

ცოლი ელენა, შვილი ქსენია, სიძე მიშა ჩხარტიშვილი, ძმა სოლომონი და ძმის შვილი ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, ამ წლის 20 იანვარს შესრულდება წლისთავი.

**ალექსი წულაიას**

გარდაცვალებიდან. პანაშვიდი წირვის შემდეგ სოუქსუს სასაფლაოზე.

## განცხადება

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 20 ამა იანვარს ქალაქის დარბაზში დანიშნულია

### საჯარო ვაჭრობა

ნავთის ბაზარში სასწორის იჯარით აღებაზე ამა 1921 წლისათვის. მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიან ყოველგვარ პირობებს გაეცნონ გამგეობის კანცელარიაში დილის 9 დან 3 საათამდე. სავალდებულოა ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენა 150,000 მანეთის გირაოთ.

ქალაქის გამგეობა.

## განცხადება

ბათომის ქალაქი გამგეობა ამით აცხადებს, რომ თანახმად ქალაქის საბჭოს 13 იანვარის არაჩვეულებრივ სხდომის დადგენილებისა მიმდინარე წლის 14 იანვრიდან ქალაქ ბათომში დაწესებულია

### შემდეგი ნიხრი ხორცეულობაზე:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი გირვანქა . . . . . . . . . | 150 | მან. |
| " " ფუთი . . . . . . . . . | 5000 | " |
| ღორის ხორცი გირვანქა . . . . . . . . . | 200 | " |
| " " ფუთი . . . . . . . . . | 8000 | " |
| ცხვრის ხორცი გირვანქა . . . . . . . . . | 200 | " |
| " " ფუთი . . . . . . . . . | 8000 | " |
| კამეჩის ხორცი გირვანქა . . . . . . . . . | 150 | " |
| " " ფუთი . . . . . . . . . | 4000 | " |
| ძროხის ქონი გირვანქა . . . . . . . . . | 400 | " |
| ღორის ქონი და ცხვრის გირვანქა . . . . . | 500 | " |

ვინც ამ ნიხრს დაარღვევს, ის მიეცემა პასუხის გებაში.

3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა.

## ბათომის მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების საყურადღებოთ, ვინც ღებულობს მაგიდიდგან რაციონს, წარმოადგინონ ახალი სიები ძველი სიების მაგივრად არა უგვიანეს 20 ამა იანვრისა, სია უნდა იყვეს შემდგარი ალფავიტური წესით. რომელიც დაწესებულებაც არ მოიყვანს სისრულეში ამ განცხადებას, მათ 20 ამა იანვრის რიცხვიდან შეუწყვეტენ სურსათს.

მუშათა მაგიდა.

## შ მ ა ე ვ ს კ ი ს თ ე ა ტ რ ი.

| სახალხო წარმოდგ მმართველი წრე |

№ 20

ოთხშაბათს, 19 იანვარს.

ბენეფისი **მარო მდივანისა** ოცი წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

წარმოდგენილი იქნება

დამსახურებული მსახიობის **ვ. გუნია**ს და **ნატ ჯავახიშვილი**ს მონაწილეობით. სახელმწიფო თეატრის რეპერტუარიდან პიესა ჯარის ცხოვრებიდან

### ბ ლ ო ყ მ ი

4 მოქ ვ. გუნიასი—ავტორის მ ნანსცენებით.

მონაწილეობს მთელი დასი და გვარდიის მუსიკით.

რეჟისორი **იგ. ბარველი.**

ადგილების ფასები საბენეფისოა და იყიდება მხოლოთ თეატრის კასაში.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

## ყველა ბინის დამქირავებელთ და სახლის პატრონებს

გავეცანით რა იმ მასალებს, რომლებიც შეგროვილ იქნა ახლად დასრულებულ ბინების აღწერის შემდეგ ქალ. ბათომში და მის მიდამოებში (ПРИГОРОДЫ), ქალაქის გამგეობამ დაინახა, რომ მრავალ შემთხვევაში ნაჩვენები მცხოვრებთა რაოდენობა ბინებში სინამდვილესთან და მორიგებულია მცხოვრებთა რიცხვში ნაჩვენებია გარდა იმ პირთა რომლებიც ეხლა ცხოვრობენ, აგრეთვე ისინიც, ვინც წინეთ ცხოვრობდა და დღეს კი ბათომიდგან გასულია ვიდებთ რა მხედველობაში რომ ასეთი ცნობები მოწოდებულია გაუგებრობით, ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა იმ პირთ, რომლებმაც მიაწოდეს ყალბი ცნობები 20 იანვრამდე ამა წლისა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობაში (სტატისტიკური განყოფილებაში) და გაასწორონ დაშვებული შეცდომები.

იმ შემთხვევაში თუ შეცდომები აღმოჩენილ იქნა აღნიშნულ რიცხვს შემდეგ ქალაქის გამგეობა შეამდგომლობს აღძრავს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის წინაშე, რათა გაძევებულ იქნან ბათომის და მისი ოლქიდან ყველა ის პირნი, რომლებმაც მოგვაწოდეს ყალბი ცნობები

ქალაქის გამგეობა

3—3

## ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს

რომ მან ეხლად მოაწყო

### ვალცის წისქვილი

(ВАЛЬЦОВУЮ МЕЛЬНИЦУ).

რომელიც ჯერ ჯერობით დღიურათ ფქვავს 1000 ფუთ ძირბალს. მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქავს დღიურად 2000 ფუთამდე.

დაწესებულებანი რომელიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილი. ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას

2ა 3—2 ბათომის ქალაქის გამგეობა.

## ბათომი, 19 იანვარი.

თფილისში სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა მოეწყო; თავი მოიყარეს ჩვენ დედაქალაქში ჩვენი სკოლის უშუალო ხელმძღვანელებმა და მათ უნდა ეუწყათ ქვეყნისათვის სკოლის ღირსება და ნაკლი, არსებული მდგომარეობა და გადაეშალათ ის პერსპექტივები, რომლის განხორციელება უწყებას თავის გეგმის საფუძვლათ გაეხადა.

ჩვენ ინტერესით შევხვდით მასწავლებელთა ყრილობას, ყრილობის ანგარიშს გაზეთში ვათავსებდით და ბევრი მასალის მიღებას და მასწავლებელთა სულიერი ზრახვის და მათი მუშაობის შედეგების გაცნობას გულმოდგინეთ ულდებოდით.

მართლაც, ჩვენი მოლოდინი ბევრ რამეში გამართლდა, ბევრი რამ საყურადღებო ითქვა, სკოლის მდგომარეობსა და ბევრი ნაკლი, რომელიც დასჩემდა ჩვენ ახალ ნიადაგზე ასაგებ სკოლას, გამომჟღავნდა, უწყების მუშაობა, რომელსაც ჩვენ გავეცანით უწყების მეთაურის მოხსენებიდან, ფრიად საყურადღებო და ნუგეშის მომცემი იყო. ჩვენ დიდათ გვახარებდა ის ცოცხალი დემოკრატიულება, რომელიც მასწავლებელთა ყრილობამ გამოიჩინა სკოლასთან დაკავშირებულ საკითხების დაფასებაში.

თვით ფაქტი მასწავლებელთა კავშირისა და ყრილობაზე დაწყობილი მასწავლებელთა აზრის მეტყველება ჩვენში ჰქმნიდა წარმოდგენას, რომ მასწავლებელი მოხელე მოკვდა რევოლიციურ ტალღებში, და მუშავდება ახალი ტიპი მასწავლებლისა, რომელიც მუშაობს, აზროვნებს, იბრძვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ებმება, პოლიტიკურ ვითარების მოვლენათა შეფასებაში შედის, სკოლის საქმეს სიყვარულით გარს უვლის და როგორც მასწავლებელი-მოქალაქე სამშობლოს სამსხვერპლოზე თავისი შრომა და პირადი ბედნიერება მიაქვს.

ჩვენ ვაფასებთ მასწავლებელთა

დიდ მნიშვნელობას ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ წარმატების საქმეში, გვესმის, რომ სკოლის რეფორმა, ყოველი გეგმა, რომელი მას საფუძვლად დაედება, ვერავითარ დადებითი შედეგს ვერ მოგვცემს, თუ მასწავლებელი არ ამაღლებულა, თუ ის თავისი მომზადებით და თავისი შეგნებით არ ეფარდება ახლად დაბადებულ სასკოლო მოთხოვნილებას. სასკოლო პირობანი მხოლოდ უადვილებენ მასწავლებელს ნაყოფიერ მუშაობის მიღწევას, მხოლოდ მასწავლებელი აცხოველებს და ახალისებს სკოლას. კარგი მასწავლებლის გარეშე კარგი და საღი სკოლა არ არსებობს.

ცხადია, ჩვენი ყურადღება მასწავლებელს უნდა მივაპყროთ, ის უნდა იქნას ჩაყენებული ისეთ ნივთიერ და უფლებრივ პირობებში, რომ მას შეეძლოს ნაყოფიერი მუშაობის გაწევა, მასწავლებელთა ყოფა უნდა დასცილდეს იმ გარემოს, რომელიც მასწავლებელს აქვეითებდა, მის პიროვნებას ამახინჯებს, მოქალაგობრივ გამგეობას და აზრთა მუშაობას მასში ახშობს და ქმნის პიროვნებას უფერულს და ყოველივე მოქალაქობრივ ღირსების მოკლებულს. მხოლოდ მოქალაქეს შეუძლია ნ[illegible] აღზრდა და ეს ჩვენ არ უნდა გვ ავიწყდებოდეს.

ეს უდავო დებულება სრულიად შეგნებული აქვს ჩვენ მთავრობას, ერთგვარი თანაგრძნობას და გამოძახილს მასწავლებლთა გასაჭირი პოულობს ჩვენი მთავრობის წრეებში, მაგრამ უნდა ითქვას, ჩვენდა საუბედუროთ, რომ მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის ცოტათი აწევაც არ მოხერხდა. აქ დამნაშავე არა ჩვენი მთავრობა, არამედ ის ეკონომიური პირობები, რომელიც ჩვენში შეიქმნა და რომლის დაძლევას მთელი ჩვენი ხალხის ყურადღება უნდა მიაპყრას.

დღეს ყველა დარგის მუშა-მოსამსახურენი განიცდიან საშინელ ნივთიერ გაჭირვებას, ყველას აკლია ყველაფერი, შიმშილის აჩრდილი ყველა მუშა-მოსამსახურის ოჯახის წინ აკრულა. მაგრამ არც ერთ დარგის მუშა-მოსამსახურითა დღის წესრიგში არ დაისმება საერთო გაფიცვის შესახებ; მათ ესმით კარგათ, რომ მთავრობას, რომელიც ხალხის წრიდან არის წარმოშობილი, რის მიცემა შეუძლია, ის მისცემს, რადგან ის ემსახურება ხალხს და ხალხის საქმეს აკეთებს. ხალხის საქმეს ემსახურება კარგი სკოლა, კარგი მასწავლებელი და ცხადია მთავრობას კარგ სკოლას და მასწავლებელს ნივთიერათაც უზრუნველყოფს მთავრობამ ვერ შესძლო ჯერ გადალახა შექმნილი ეკონომიური დაბრკოლებანი და შესძლებს თუ მასთან ერთად იქნება მუშა თუ გლეხი ამ ეკონომიური გაჭირვების დაძლევაში.

მასწავლებელთა ყრილობაზე გაიდა ულტიმატიური ხასიათის წინადადება მათი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, წინაამდეგ გაფიცვით ემუქრებიან. მასწავლებელთა ყრილობის ასეთი გადაწყვეტილება, ასუსტებს ყრილობის მუშაობას, და უნდა გამოვტყდეთ, მასწავლებელთა შემადგენლობაზე ჰქმნის მათთვის არა სასიამოვნო შეხედულებას. მასწავლებელი ვერ ასულა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც სდგას ქარხნის მუშა, მას ვერ გაუთვალისწინებია ჩვენი ეკონომიური ვითარება და თავისი თავი მოპირდაპირეთ წარმოუდგენია ხალხის და მთავრობის. საუბედუროთ, მასწავლებელთ ვერ გაუთვალისწინებიათ, რომ მათი გაფიცვა ისეთ მომენტში, როდესაც გარედან მტრები გვემუქრებიან და შინ შავი ძალები ფუსფუსობენ, ეს იქნება მტერთა რიგრი ჩადგომა, დემოკრატიის ღალატი და სამშობლო გულში ზურგიდან მახვილის ჩაცემა. ნუ თუ მასწავლებელი სკოლას გაიფიცება, დემოკრატიას უღალატებს, იმშობლოს ზურგ შეაქცევს. გვახსოვდეს, რომ ღალატისათვის დემოკრატიამ სასტიკი პასუხის მოითხოვა იცის.

## სკოლების რიცხვი.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობაზე სახალხო განათლების სამინისტროს მიერ გაკეთებულ მოხსენებაში საქართველოს სკოლათა რიცხვის შესახებ შემდეგი ცნობაა.

ძველ რუსულ რეჟიმს ჩვენში ფეხის შემოდგმიდან 1917 წლამდე დასავლეთ საქართველოში სულ დაუარსებია 497 სკოლა. განახლებულ საქართველოს კი 1918 წლიდან გაუხსნია 326 სკოლა.

ამ ჟამად იმერეთში არსებობს სულ 923 სკოლა.

აღმოსავლეთ საქართველოში იყო 344 სკოლა ახლა არსებობს 620 სკოლა. სოხუმის ოლქში იყო 64 სკოლა ახლა არის 205 სკოლა. მთელ საქართველოში წინად იყო 825 სკოლა ახლა არის 1745.

მოსწავლეთა რიცხვს უმატნია ერთი ორად. ქუთაისის გუბერნიაში წინად იყო 72000 მოწაფე ახლა არის 140,000 მოწ. თბილისის გუბერნიაში იყო 25000 არის 37000 მოსწავლე. იმედის მომცემი და სასიხარულო ციფრებია.

სახალხო განათლების მხრით ჩვენი წარმატება ცივი ციფრებით აშკარად სჩანს. სხვანაირად არც შეიძლებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპია პირველ დაწყებით საყოველთაო უფასო სწავლა განათლება და საერთოდ მთელ ხალხში ფართე განათლების შეტანა რომ ამით ქართველი ხალხის შეგნება სასურველ საფეხურზე ავიყვანოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი განსხვავებაა სკოლების წინანდელ და დღევანდელ რიცხვს შორის ჩვენი მაინც ვერ დაგვაკმაყოფილებს. დასავლეთ საქართველოში სადაც მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონამდეა 1000 სკოლა საკმარისი ვერ იქნება ჯერჯერობით აუცილებელია სკოლათა რიცხვი ორიათასამდე მაინც ავიდეს. აგრეთვე მეტად მცირე სკოლების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში, ამ საქართველოს კულტურის ცენტრში, რაც სამწუხაროა და უთუოდ უნდა გადიდდეს.

სამინისტროს ცნობებიდან არა სჩანს თუ რა ტიპის სკოლები დაარსდა ან როგორი სწავლა განათლებას აძლევენ ჩვენ სოფლებს,

როგორც ცნობილია ჩვენ იმ თავიდანვე ვსაჭიროებდით უმთავრესად სპეციალ ცოდნის მომცემ სკოლებს, რომ სოფლის სკოლებში კურს დამთავრებულ ყრმათ შესძლებოდათ სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობა ახალი იარაღით თავის მამის გვერდში ამოდგომა

განყენებული საერთო ცოდნა სოფლისთვის გამოსადეგი არ არის სახალხო განათლების საქმეში ამ გარემოებას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება, სკოლამ სოფლის ხალხი უნდა დააინტერესოს როგორც რეალურ ხელ შესახებ სარგებლობის მომტანმა წყარომ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასეც იქნება და სოფლის ახალი თაობა აღიზრდება ისეთი ცოდნით, რომელიც სკოლის კედლებიდან პირდაპირ დაიწყებს სოფლის კეთილ დღეობისთვის შრომას."

ირაკლი.

## უცხოეთი.

ფედერატიულ რესპუბლიკის კონფერენცია.

,,ტანი" იუწყება საბჭოთა მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა მოიწვიოს კონფერენცია იმ ფედერატიული რესპუბლიკათა წარმომადგენლებისა, რომლებიც ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენდნენ, სულ ამ რესპუბლიკათა რიცხვი უდრის 15. კონფერენციამ უნდა გამოიმუშავოს კონფედერაციის პროექტი, ურთიერთ დამოკიდებულებისა და მართვა-გამგეობის ნორმები და ფორმები და აგრეთვე უნდა განიხილოს საგარეო პოლიტიკის პროგრამა.

ანგორა და ბოლშევიკები.

ადგილობრივ პრესის ცნობით ანგორის მთავრობას ბოლშევიკებისაგან მიუღია 30 აეროპლანი, 20 ჯავშნიანი ავტომობილი და სხ. ქემალისტები თავის ჯარებს აგროვებენ იზმიდისა და სმირნის რაიონებში საბერძნეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ.

ბოლშევიკები უკრაინაში.

პოლონური და გალიციური პრესა იუწყება: ბოლშევიკები მთელ უკრაინაში აკეთებენ სანგრებსა და მავთულის ხლართებს. კიევსა და ჟიტომირის გარშემო გაკეთებულია სანგრები და მავთულის ხლართი, ამ რაიონში იმყოფება ყირიმიდან გამოწვეული ჯარები.

ვრანგელის მოწოდება.

ვრანგელმა მიმართა ყუბანის ჯარებს მოწოდებით, სხვათა შორის სწერია: მე მოკლებული ვარ საშუალებას, რომ თქვენ რითიმე დაგეხმაროთ. ვიშუამდგომლებ თქვენ შესახებ საფრანგეთის მთავრობის წინაშე და ყოველგან ზომებს მივიღებ, რომ თქვენი ღირსება და დროში არ იქნეს შეურაცყოფილი.

ლტოლვილთა ცხოვრება.

ყირიმიდან გამოქცეულთა ცხოვრება სტამბოლის ახლო თანდათან ეწყობა. ფქვილი და სხვა საჭირო სურსათ-სანოვაგე მოაქვთ ფრანგებს. ლტოლვილები და ჯარები კარვებში ცხოვრობენ. ბანაკებს სამხედრო ხასიათი აქვთ. ყოველგან გუშაგები სდგას. ყოველ დღე სამხედრო მეცადინეობა სწარმოებს.

ახალი სამხედრო კამპანია.

,,რეჩ პოსპოლიტაია" სწერს: მოსკოვიდან იუწყებიან, რომ მიუხედავათ შინაგან კრიტიკულ მდგომარეობისა საბჭოთა მთავრობა ახალ სამხედრო კამპანიისათვის ემზადებაო.

3 ინტერნაციონალის პროგრამის უარჰყოფა.

შვეიცარიის სოციალისტურმა პარტიამ 350 ხმით 213 წინააღმდეგ უარყო მესამე ინტერნაციონალის პროგრამა.

მიწის ძვრის მსხვერპლნი.

ვალონიდან იუწყებიან: ალბანეთში მომხდარა ძლიერ მიწის ძვრა, დანგრეულია სოფლების მთელი წყება ტეპელენის ოლქში. ჯერ-ჯერობით იპოვეს 500 მკვდარი, 6000 მცხოვრები უსახლკაროდარჩა. მიწის ძვრა გრძელდება.

სომხეთის ახალი მთავრობა.

გაზეთ ,,სტამბულის" ცნობით სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეს და მეთაურსა, აგარონიანს, გადუწყვეტია პარიზში, ერევნის საბჭოთა მთავრობის დამოუკიდებლად, დაარსოს ახალი სომხეთის მთავრობა, "რომელიც წარსდგება ევროპის წინაშე როგორც კანონიერი და სრულუფლებიანი ნამდვილი სომხეთის მთავრობა

საქონლის გაცვლა-გამოცვლა იზრდება.

თანახმად ფინეთის პრესის ცნობისა, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს ფინეთის ქაღალდის მწარმოებელთან დაუდვია ხელშეკრულება რუსეთში ქაღალდის შემოტანის შესახებ.

საბჭოები ინდოეთში.

ინდოეთში გლეხების აჯანყება ხდება აჯანყება გამოწვეულია მემამულეთა განზრახვით მოსპონ საბჭოები, რომლებიც 10,000 გლეხამდე აკავშირებს. აჯანყებულებს ჯარები ებრძვიან.

სდევნიან.

განზრახულია უკრაინის ატამანის პეტლიურას პოლონეთიდან გადასახლება.

ემზადებიან საქონლის შემოსატანათ.

ვიბორგში მრეწველთა თათბირი მოხდა. თათბირმა დაადგინა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა. ამასთანავე თათბირმა აირჩია კომისია ფინეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ. იაპონია და ამერიკა ერთმანეთთან საბრძოლველად ემზადებიან. იაპონია დიდ სიმაგრეებს აგებს. არის ცნობები, რომ იმ შემთხვევაში თუ ამერიკასა და იაპონიის შორის ომი დაიწყო, კანადა და ავსტრალია ამერიკას მიემხრობიანო.

ინტელექტუალური კავშირი საფრანგეთსა და რუმინეთის შორის.

ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკოლაი იორგამ განათლების ლიგაში აღნიშნა ის ინტელექტუალური კავშირი, რომელიც საფრანგეთის და რუმინეთის შორის არსებობს, აღნიშნა რა საფრანგეთის გავლენა მოლდავიაში და ვალდახიაში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მეცნიერმა ისტორიკოსმა განაცხადა, რომ პარიზში დაარსებული იქნება რუმინელი სკოლათ.

შიში-პუანკარეს მოსალოდნელ მთავრობის თავმჯდომარეთ დანიშვნის გამო დიდ შიშს გამოსთქვამს. ,,იდეა ნაციონალე" აცხადებს რომ შეუძლებელია შერიგება პუანკარეს იდეისა საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარების სურვილთანო.

ფოლადის ფასი გერმანიაში.

(დასაწყისი არ არის მიღებული) ბრიტანეთის ვაჭრობის მინ სტრმა სერ რობერტ ხორნმა აღნიშნა, რომ გერმანია ფოლადის ფასს ამცირებსო. მაგალითად ინგლისში იგი ერთ ტონ ფოლადს ყიდის 12 გირ. სტერ. მაშინ, როდესაც ინგლისის ფოლადის ფასი—16 გირ სტერლ.

## ახალი ამბები.

უქმისა გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს 21 იანვარს.

— ლონდონიდან გუშინწინ ჩამოვიდა ინჟინერი მაიორი გრინი. რომელიც წინათ ინგლისელების დროს იმყოფებოდა თბილისში საინჟინერო ნაწილში, და ამ დღესვე გაემგზავრა თბილისს, როგორც გავიგეთ მაიორი გრინი სათავეში უდგება სატრანსპორტო საზოგადოების საქმეებს ჩვენში.

— აჭარის წყლიდან ჯარების სარდალს იტყობინებენ რომ იქ გაფუჭებულია გზები და ითხოვენ სასწრაფო განკარგულებას მის შესაკეთებლად.

კოოპერატიული ბანკი ბათომში. ბათომში იხსნება საქართველოს კოოპერატიული ბანკის განყოფილება. განყოფილების მოსაწყობად უკვე ჩამოვიდა თფილისიდან ბანკის წარმომადგენელი ა. ინწკირველი. განყოფილების გამგეთ მოწვეულია ვ. ს. ჭელიძე.

შეუმდგომლობა. პოლონეთის კონსულმა მიმართა [illegible] შუამდგომლობა მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის წინაშე [illegible] ტიულად დატუსაღებულ პეტენდარიკის განთავისუფლების შესახებ.

განთავისუფლება მურავლონტი და დურსუნ რეიდ ოღლი ციხიდან გაანთავისუფლეს.

ართვანის მაზრის კომისრად დაინიშნა კაპიტანი დადიანი, ა. მულაიშვილი დაინიშნა მურღულის რაიონის კომისრათ.

ბათომის მაზრის კომისრის საქმის მწარმოებელი იაშვილი ართვინის კომისრის მდივნათ დაინიშნა.

მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული მადლობას უცხადებს ბათომის რაიონის კომისარს ქიქავას, კახაბერის საზოგადოების კომისარს თევდორაძეს, უფროს მილიციონერს იესუფ დოლიძეს, მილიციონერს მახმედ იონიძეს, სულთან ბლიოღლის ენერგიულ მუშაობისათვის.

სეკრეტარიატის შუამდგომლობა. ბათომის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის წინაშე, რომ ისეთ მუშებს, რომლებსაც დღეს სამუშაო არ აქვთ, მაგრამ რომლებიც ითვლებიან კავშირის წევრათ, ადმინისტრაციას დაკავებას ნება არ ჰქონდეს

შოფერის დაჭერა. მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის გარაჟიდან ცუკანოვმა გაიტანა ავტომობილის ნაწილები. ცუკანოვი ციხეში ჩასვეს.

გაანთავისუფლეს სამსახურიდან კომისარის თანაშემწე მგალობლიშვილი, კანცელიარიის მოსამსახურე მამფორია და განსაკუთრებული მონდობილების ოფიცერი თევდორაძე.

— განსაკუთრებული რაზმის მიერ ქუთაისის სატყრობილეში საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის გაგზავნილ იქმნენ შემდეგი პირები: 1) ნიკოლოზ ივანენკო, 2) ალიმენტი ელშევი, 3) დიმიტრი ვასილიევი, 4) მიხეილ იაუროვი, 5) სტეფანე დავიდოვი, 6 ივანე დოროშენკო, 10) მარია პრეობრაჟენსკაია 11) იაკობ შტენბერგი: 12) ვასილ სტაროდუმცევი, 13) ალექსი კლიმენკო, 14) ნიკოლოზ ზაბოლოცკი 15) ლეონტი ტაუშინი, 16) გრიგორი მხეიშვილი, 17) დავით კოპლატაძე, 18) რუზანა ტარუშევა, 19) მიხეილ ანასტასიადი, 20) ლევ ედელსონი, 21) ტატიან სიჩოვა, 22) დიმიტრი გოჩელეიშვილი, 23) მიხეილ პალერმა, 24) მაგალი იაკუბოვა 25) ანდრო ლუპინგ და 26) ალექსანდრე დიმიტროპულო.

## შავი ზღვის რადიო.

(18 იანვარს მიღებული) სტუდენტები ბოლშევიკობენ.

მოსკოვის ცნობებით ინგლისის სტუდენტები ოქსფორდის უნივერსიტეტისა ფართე ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწევიან. ბოლშევიკობენ გამოჩენილ გვარების და ოჯახების ენერგიულ ზომებს ღებულობენ ვა[illegible] მორიცხეს რამდენიმე სტუდენტი.

პოლონეთი ემზადება.

დონციგიდან იუწყებიან, რომ პოლონეთში ყოველ დღე მოდის ახალ ახალი პარტია ფრანგი ოფიცრებისა რომლებიც ეწერებიან პოლონეთის ჯარში აგრეთვე მოაქვთ დიდძალი ამუნიცია და სხვა სამხედრო მასალა საარტილერიო პოლკებში გატარება მრავლდება ცხრამდე. საერთოდ პოლონეთის ჯარში უდიდესი სამხედრო მზადებაა.

,,ჩვენი დღე მომავალია".

1920 წ დეკემბერში ბოლშევიკების მალაროებში გაცილებით მეტი ქვა ნახშირი დაუმზადებიათ ვიდრე ახლა ამზადებენ, ამიტომ გაზ. ,,პრავ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

...დაუ სწერს. ჩვენი დღე მომავალი და ყოველივე შენელება მუშაობისა საქმის დაღუპვა იქნებაო.

წითელ-ფიცარზე.

ყუბანის ოლქში წითელ ფიცარმა რომელიც გამოიგონეს პურის შესაგროვებლად მილიონ ნახევარი ფუთი პური მოგვცაო.

— შუა ურალის ელექტრო-ფიკაციისთვის ეს ნაწილი უცხოელებს მიეცემა კონცესიით.

ინგლისელების მოქმედება სტამბოლში.

ინგლისელებმა მოახდინეს სხვა და სხვა არა არსებულ მთავრობის წარმომადგენლების ლიკვიდაცია.

სამოქალაქო ომი საბერძნეთში.

ბოლშევიკურ ცნობებით საბერძნეთში სამოქალაქო ომი გამძვინვარდა ბეჟურია დაჭრილი და დახოცილები.

## ლენინის სიტყვა.

რუსეთის რევოლუცია საყურადღებოა არა თავისთავათ, არამედ როგორც პირველი საფეხური მომავალი მსოფლიო რევოლუციის. საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოვახერხებთ პროლეტარული რევოლუციის გამოწვევას ევროპაში. ჩვენ უნდა დავესხათ საფრანგეთს და ინგლის მათ ახალ შენებში. დაუღალავი პროპაგანდის გაწევაა საჭირო ინდოეთში, ჩრდილო-აფრიკაში, რომ იქ მღელვარება გამოვიწვიოთ საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო ძალა მით შევასუსტოთ. ჩვენ ამ გზით ვმუშაობთ. ის მარცხი, რომელიც ჩვენ წილად გვხვდა პოლონეთში, აუცილებლათ ხდის ჩვენ გამარჯვებას რომელიმე სხვა ფრონტზე, რომ წითელი ჯარის პრესტიჟი არ დაეცეს ჩვენს მოკავშირეთა შორის და ისინი არ ჩამოგვშორდნენ. ასეთი გამარჯვება ჩვენ ფეხქვეშ, გააგორებს მთელ მსოფლიოს და მაშინ ჩვენ ვერსალის ხელშეკრულებას მოვსპობთ და პროლეტარიატის უფლებას აღვადგენთ.

დამოუკიდებელი პოლონეთი ჩვენთვის საშიშია. რადგან პოლონეთის წყობილება ძირიანად ეწინააღმდეგება ჩვენ საბჭოთა კონსტიტუციას. ვრანგელი გავსრისეთ, რიგი მალე პოლონეთზე დადგება, მაგრამ ჯერჯერობით დამოუკიდებელი პოლონეთის არსებობა ჩვენთვის სასარგებლოა რადგან სანამ არსებობს დამოუკიდებელი პოლონეთი გერმანია ჩვენთან იქნება. გერმანიას სძულს პოლონეთი და რომ მოსპოს იგი გერმანია ჩვენთან იქნება. პირადათ მე არ მიყვარს გერმანელები, მაგრამ საჭიროა მათი გამოყენება, ისინი ჩვენი ბუნებრივი მოკავშირენია. იტალიაში რევოლუციის გამოწვევა ყოველთვის შეგვიძლია.

## მუშათა ცხოვრება.

კონგრესი ლონდონში,

საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირთა კონგრესზე, რომელიც შესდგა ლონდონში, გერმანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გერმანიის პროფესიონალურმა კავშირებმა გადასწყვიტეს სასტიკი ბრძოლა აწარმოვონ ბოლშევიკურ აგიტაციის წინააღმდეგ.

გაზეთი „ტაიმსი“ სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ამ კონგრესზე მონაწილეობას არ იღებდენ ამერიკის პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლები, რადგან მათი აზრით ეს კონგრესი ითვლება მეტად რევოლუციონურად, მოსკოვი კი ამავე კონგრესს უწოდებს ყვითელს

სხვა და სხვა მხარის წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უნგრეთის მუშათა კლასის ცხოვრება და პირობება წარმოადგენს აუწერელ საშინელებას. მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან ფინლიანდიის მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც ფაქტიურად მთლად დაკარგეს რევოლიუციის მონაპოვარი.

ისპანიაში, სადაც მუშათა კლასი სხვებთან შედარებით იმყოფება უკეთეს პირობებში, აკრძალულია ბეჭდვითი სიტყვა კრებები და კავშირები.

საბერძნეთში განზრახულია ყველა მუშები 35 წელზე ქვევით გაგზავნონ აზიის ფრონტზე საერთო გაფიცვებში მონაწილეობის მიღებისათვის.

ინგლისში გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც იდევნება მუშა-მოსამსახურე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს გაფიცვაში, სადაც პირველი მოთხოვნილების საგნები მზადდება,

დელეგატების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ის ზომები, რომლებიც მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ, გამოწვეულია რეაქციით მოსკოვის მიმართ.

გერმანიის წარმომადგენლის აზრით ამ ჟამათ მთავარ ძალათ ითვლება გერმანიის მუშათა კლასი, რომელიც სასტიკად ებრძვის რეაქციას მარჯვნით და მარცხნით, იბრძვის კაპიტალიზმის აღორძინების წინააღმდეგ ერთის მხრით და ბოლშევიკური დიქტატურის მეორეს მხრით.

კონგრესის მიერ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია კაპიტალიზმის, მილიტარიზმისა და ბოლშევიზმის საწინააღმდეგოთ ბრძოლის წარმოების შესახებ.

ლითონზე მომუშავეთა კავშირში.

10 იანვარს შესდგა ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა, სარევიზიო კომისიის მოხსენება ცნობად იქმნა მიღებული. ხაზინადარს გამგეობამ წინადადება მისცა შემდეგი სხდომისათვის მოამზადოს უფრო გარკვეული მოხსენება. ამხ. სამოხვალოვს გამგეობამ მიანდო კონტაქტი იქონიოს სხვა კავშირებთან, რათა დახმარება აღმოუჩინონ დატყვევებულ კავშირის წევრების ოჯახობას. ბელოვის მაგივრად საბჭოში არჩეულ იქმნა ხოზირევი. კავშირის წევრთა სარევიზიო კომისიაში აირჩა ბუკურჩავა, მამაროკი და ლაშქარევი,

ინჟენერ-ტეხნიკთა კავშირში.

9 იანვარს, სახელოსნო სასწავლებლის შენობაში. შესდგა ინჟენერ-ტეხნიკთა კავშირის წევრების საერთო კრება. კრებამ შეუსწორებლად დამტკიცა წინანდელი 23 მაისისა და 17 ივნისის 1920 წლის საერთო კრებების ოქმები და მოისმინა მდივნის მოხსენება კავშირის მოქმედების შესახებ 17 ივნისიდან 1920 წ დღევანდლამდე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კავშირის მოქმედება ვერ იყო ნაყოფიერი რადგანაც მთელი ორი წლის განმავლობაში კავშირი არსებობდა არა ლეგალურად არ ქონდა თავისი ბინა, უმეტესად კავშირის უმოქმედობის მიზეზი იყო ის, რომ კავშირი არ შედიოდა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში. გამგეობამ მიიღო დადგენილება საბჭოში შესვლის შესახებ.

და გამოსთქვა იმედი, რომ კავშირი დადგება მკვიდრ ნიადაგზე და საბჭო ყოველ მხრივ კანონიერ დახმარებას გაუწევს მას.

კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა იხმაროს ყოველივე ძალღონე შრომის ბირჟის მოქმედების გასაფართოებლად, რომ ინჟენერ-ტეხნიკთა დაქირავება ბირჟის გარეშე არ ხდებოდეს

შრომის ხელფასისა და სამუშაო პირობების გამომუშავება კრებამ მიანდო გამგეობას სეკრეტარიატის დახმარებით.

შემდეგ, თანახმად დღის წესრიგისა მოხდა საბჭოში გასაგზავნ წარმომადგენლების არჩევნები. არჩეულ იქმნენ: ინჟენერი ა. ა. ბადიანცი და ტეხნიკი ა. ი. ინედაძე, მათ კანდიდატებათ ინჟ. გ. გ. ჩხეიძე და ტეხნიკი ფ. ი. პენდრაკოვსკი.

ხაზინადარის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყველა წევრებს არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი, ასე რომ ერთ მეოთხედს არ გადაუხდია საწევრო ფული. 1921 წ 1-ლ იანვრამდის კასაში იყო 41,345 მ. და 1-ლ იანვარს შემდეგ შემოვიდა კიდევ 2.690 მანეთი. საწევრო პროცენტების გადასახადის გამომუშავება მიენდო გამგეობას თანახმად სხვა კავშირებში არსებულ საწევრო პროცენტების გადასახადის შეფარდებით,

კრებამ სასარგებლოთ სცნო მოხსენების კითხვა ტეხნიკურ თემაზე ეს თათბირი და აზრთა-გაცვლა-გამოცვლა.

კავშირს განზრახვა აქვს ამ ახლო ხანებში სცენის მოყვარეთა კავშირის და მხატვართა სექციასთან ერთად მოაწყოს მუშებისათვის ტეხნიკური კურსები. ამ მიზნით კრებამ დაავალა გამგეობას გაგზავნოს ერთ-ერთი გამგეობის წევრი მხატვართა სექციასთან მოსალაპარაკებლად.

ამ კრებას დაესწრო საალაშენებლო მუშების კავშირის ორი წევრი, რომლებმაც კრებას დაეხმარა რამოდენიმე საკითხების გარჩევაში მათ მისალმების სიტყვით მიმართა გამგეობის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა დღევანდელი სერიოზული მომენტი და სთქვა, რომ ბოლოს და ბოლოს გაფანტა ის ეჭვები და უნდობლობა, რომელიც არსებობდა აქამდის ინჟენერ-ტეხნიკებსა და მუშებს შორის და მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ჩვენს საერთო ნაყოფიერ და ერთ-სულოვან მუშაობას



## მარო მდივანი

### XX წლ. სცენის მოღვაწეობისათვის.

დღეს, შმაევსკის თეატრში შესდგება ბენეფისი მარო მდივანის-ასულისა.

ეს საღამო იმართება მისი ქართ სცენაზე ოცი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

ადვილი სათქმელია ოცი წელი, სხვა დარგში, მაგრამ ქართულ სცენაზე მოღვაწისათვის მართლაც ძნელი და ეკლიანი იყო, მით უფრო იმ დროს როცა ქართველებისთვის ყველაფერი შევიწროებული და დევნილი იყო. მაგრამ მარო მდივანის ასულმა მისდა საუსაქადულოდ, სძლია ყოველივე გაჭირვებას და პირნათლათ და ნიჭიერათ ემსახურა ეროვნულ სცენას. რამდენი როლი აქვს მას შექმნილი ამ დროის განმავლობაში?

რომელ ქალაქში ან დაბაში არ უთამაშნია მას? ამ მხრივ მართლაც იშვიათ მსახიობთაგანია. ის ყოველთვის დიდის სიფრთხილით ეკიდება თავის მოვალეობის და ჯერ არ გვახსოვს მისგან როლის გაფუჭება.

დღეს, მას შეუსრულდა ოცი წელი.

მიდის სადღესასწაულო წარმოდგენა.

დადგმული იქნება სახელმწიფო თეატრის რეპერტუარის კომედია პრემიერა ვალერიან გუნიასი „ოლლუმი“ ჯარის ცხოვრებიდან. მობენეფისემ პიესა რომ კარგათ წავიდეს მოიწვია ორი გასტროლიორი დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია და ნატო ჯავახიშვილის-ასული.

მობენეფისე შეასრულებს ერთ საუკეთესო როლს წარმოდგენაში.

N.

## ეკონომიური მდგომარეობა.

(კ. კანდელაკის მოხსენება რკინის გზელთა მესამე ყრილობაზე.)

ამხანაგებო! იმ დიდ ნივთიერ გაჭირვების დროს, რომელსაც ეხლა განიცდის ჩვენი ხალხი, იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა გარს შემორტყმულია მტრებით, რომელთაც სურთ ამ გაჭირვებით სარგებლობა და ამით ჩვენი წესწყობილების დარღვევა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის განადგურება,—თავის თავად გასაგებია, რომ ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ, ყველა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით ისეთმა, როგორიც არის რკინის გზელთა ყრილობა, უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და რა ნაბიჯებია გადადგმული ან შესაძლებელია გადავდგათ მისი გაუმჯობესებისათვის ალბათ, ამიტომ გაინტერესებთ თქვენ ჩემი მოხსენება, ე. ი. ის, რაც ჩვენ ევროპაში ვნახეთ და რაც იქ გააკეთა ჩვენმა ეკონომიურმა მისიამ.

ერთის თვალის გადავლებითვე თქვენ შეამჩნევთ, რომ დასავლეთი ევროპა, ყოფილ რუსეთის სახელმწიფოსთან შედარებით წარმოადგენს მდიდარ და ბედნიერ ქვეყანას; მაგრამ თუ ახლოს დაუკვირდებით მის მდგომარეობას, დავინახავთ, რომ მასაც, მდიდარ ევროპასაც, შესამჩნევათ დამჩნევია ომის საშინელების შედეგი, ამ სახელმწიფოებშიც დღეს, წინანდელთან შედარებით ეკონომიური ცხოვრება არეულია, აქაც დიდი გაჭირვებაა. მხოლოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს ერთად-ერთი ინგლისი, რომელზედაც ომმა ისე მწვავე დაღი არ დაუსვამს, არც ადამიანის მსხვერპლით და არც ნივთიერათ [illegible] არ უგრძვნია, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებს.

იმიდან დაუზარალებლათ გამოსულ ინგლისს საშვალება მიეცემია სხვა სახელმწიფოებზე უფრო ადრე და უფრო ადვილათ შესდგომოდა აღმშენებლობითი მუშაობას; ამ გარემოებამ კი გამოიწვია ის, რომ ინგლისი შეიქნა სხვა სახელმწიფოებისათვის ეკონომიურ ცხოვრებაში მოკარნახე და პოლიტიკური მესაჭე. მაგრამ ინგლისიც კი, რომელსაც არ განუცდია სხვებსავით დიდი უბედურება,—დღეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ დიდი რუსეთის ევროპიდან ჩამოშორებამ და გერმანიის მძიმე პირობებში ჩაყენებამ საზოგადოთ დაარღვია წინანდელი წონასწორობა; დაირღვა ძველებური ალებ მიცემობის გზა, ინგლისიც წინანდებურათ ველარ ასაღებს თავის საქონელს, მრეწველობა ძველებურის ტემპით ვერ ვითარდება. ინგლისის ვალიუტა რომ მაღლა დგას და იმავე დროს თითქმის ყველა მომხმარებელ ქვეყნების ფულის კურსი დაცემულია,—ესეც სათანადოთ მოქმედობს ინგლისის მრეწველობაზე.

სახელმწიფოები, რომელნიც ქაღალდის ფულს ბლომათ სჭრიან,—ადვილათ ვეღარ იძენენ ინგლისის საქონელს; რადგან ეს ძლიერ ძვირი ჯდება ქაღალდის ფულით. ამნაირად, მომხმარებელ ქვეყნების დაღარიბება მდიდარ ინგლისზედაც მოქმედობს; მრეწველობა ზარალობს, იქ დღეს დიდი უმუშევრობაა.

ამნაირად კარგმა ვალიუტამ, როცა ინგლის ქაღალდის ფულის კორიანტელია, ინგლისი ისე, როგორც ნეიტრალური ქვეყნები, ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა. საკვირველი მოვლენა იყო ბრიუსელის საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციაზე: აქ ნეიტრალურ ქვეყნების კარგი ვალიუტის პატრონები ისე ჩიოდნენ თავის ეკონომიურ გაჭირვების შესახებ, როგორც ღარიბი ქვეყნები. ეს კიდევ ერთხელ იმას ამოწმებს, რომ სანამ ევროპაში არ იქნება აღდგენილი ყოფილი ეკონომიური ურთიერთობა, კრიზისს მდიდარ და ძლიერ ქვეყნებშიაც კი ადგილი ექნება- განსაკუთრებით დაზიანებულია ომით ჩრდილოეთ საფრანგეთი და სწორეთ ამით აიხსნება შოვინიზმი ფრანგი „ობივატელის“, რომელიც მზათ არის ხელი წაუჭიროს და დაახრჩოს ომის გამომწვევი სახელმწიფო.

თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საფრანგეთი იძულებულია მიმართოს როგორც შინაურ, ისე გარეშე სესხს და ქაღალდის ფულის ბეჭდვას და აქედანვე გამომდინარეობს საფრანგეთის ფრანკის ღირებულების დაცემა. უმუშევრობა აქაც დიდია. საფრანგეთმა დიდი ზარალი ნახა ჩრდილოეთის ინდუსტრიალურ პროვინციის პროვინციის ომისაგან განადგურებით. ამ ინდუსტრიის აღდგენა, წინანდელ დონეზე დაყენება დიდ დროს მოითხოვს. მიტომ აქ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის მეურნეობას. რაც შეიძლება ნაკლები საქონლის შემოტანა უცხოეთიდან, რადგან ბევრის გატანა მოუხერხებელია, აი საფრანგეთის ეკონომიური პოლიტიკის მიმართულება.

უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება იტალია. იგი ვეღარ

საღვინე გასტრონომიული მაღაზია
# იყიდება
დაწმენდილ დაცდილი ღვინო
იამაის რომი კონიაკი „IMPERIAL“
და სხვასახსმელები მაღალი ღირსებისა
სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25—9

აცხადებს, რომ თვისი შინაური მოთხოვნილება თვითვე დააკმაყოფილოს. ამიტომ სიღარიბე აქ უფრო თვალსაჩინოა, ფულის კურსი თანდათან ეცემა. ყველაზე უფრო მწვავე ბეჭედი ოჯახს გერმანიას აზის. მას სულს უხუთავს ის კონტრიბუცია რომელიც მან უნდა გადაიხადოს გამარჯვებულ სახელმწიფოთა სასარგებლოთ. მართალია, ფულის კურსი მას ხელს უწყობს თავისი ნაწარმოები გაიტანოს უცხოეთის ლარიბ ბაზარზე, მაგრამ სხვა მრავალი გარემოება ამისთვის ხელის შემშლელია უმუშევართა რიცხვი გერმანიაში ძლიერ დიდია, მარტო ბერლინში ითვლება 300,000 უმუშევარი.

ამრიგგათ თქვენ ხედავთ, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოები წინანდელთან შედარებით ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგრამ ამავე დროს ყველა ქვეყნებს ერთი და იგივე მიზანი დაუსახავთ: რაც შეიძლება მალე აღადგინონ თავიანთი ნივთიერი მდგომარეობა, შრომა და დაუღალავი შრომა, აი რას ვხედავთ ყოველგან. ეს აღმშენებლობითი მუშაობა ყოველგვარ პესიმიზმს ნიადაგს უკარგავს.

დღეს არის კრიზისი, მაგრამ ამავე დროს ყოველი ზომაა მიღებული ამ კრიზისის გასანელებლად, მთელი ხალხის ენერგია შემოქმედებითი მუშაობისკენ ისწრაფის იმის შედეგიც თვალსაჩინოა.

ომისაგან დანგრეულ და განადგურებულ საფრანგეთის პროვინციების 30—40 ნაწილი და ბელგიის 60 ნაწილი უკვე აღდგენილია. ეკონომიურ ცხოვრების აღდგენისთვის, გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, დიდი ერთსულოვნებაა ყველა კლასთა შორის. მართალია, იქ მუშები შედარებით ისეთ გაჭირვებას არ განიცდიან, როგორც ჩვენში, მაგრამ მაინც წინანდელთან შედარებით გაჭირვებაში არიან; მიუხედავათ ამისა, ისინი გრძნობენ, რომ არსებულ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი გზა არის ნაციონალური ეკონომიკის აღდგენა. ამით აიხსნება ის, რომ ინგლისში და საფრანგეთში ძალიანი მცირე რიცხოვანია მესამე ინტერნაციონალის მიმზიდველი, უკიდურეს მოთხოვნილების მომხრენი. არა მესამე ინტერნაციონალის მომხრენი, არამედ პროფესიონალური კავშირები აძლევენ აქ ტონს მუშათა მოძრაობას. ამათში კი ზომიერი მოთხოვნილებანი იმარჯვებენ. ა. ე., მაგალითად, თქვენ იცით, რომ ამ 3 თვის წინათ ინგლისში დიდი გაფიცვები მოხდა. დიდ ამბებს მოელოდენ ამ გაფიცვებიდან. პირვანდელი მოთხოვნილებანი მართლა რადიკალური იყო. მაგრამ სულ მალე ეს გაფიცვები ხელფასზე მხოლოდ 10 პროც. მომატებით გათავდა, მწარმოებლებთან და მთავრობასთან შეთანხმებით. უმთავრესი ამის მიზეზი კი ის იყო, რომ თვით მუშები კარგათ გრძნობდენ, რომ სახელმწიფოს ისედაც შერყეულ ეკონომიურ საფუძვლის მეტი შერყევა ყოვლად შეუძლებელია. ინგლისის მუშისთვის, მასისთვის, წარმოუდგენელია ის, რაც რუსეთში ხდება.

შემდეგ მომხსენებელი ციფრებით ამტკიცებს, თუ როგორ მატულობდა ცხოვრების გაძვირება გერმანიაში და საფრანგეთში და თუ რამდენი მოუმატათ ამავე დროს მუშებს, საიდანაც სჩანს, რომ ხელფასი არ ყოფილა გადიდებული იმდენათ, რამდენათაც დაეცა ფულის კურსი და ცხოვრება გაძვირდა საფრანგეთისა და განსაკუთრებით გერმანიის ხალხი ითმენს, ამბობს მომხსენებელი, დღევანდელ გაჭირვებას. რომ თავიდან აიცილოს, ის რასაც რუსეთი დღეს განიცდის.

ხედავთ მოკლეთ დასავლეთ ევროპის დღევანდელი ეკონომიური ვითარება.

წამალი ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბრიუსელის საფინანსო კონფერენციამ, სადაც ყველა ქვეყნის გამოჩენილი ფინანსისტები შეიკრიბენ, მეტი ვერ ნახა: რაც შეიძლება სწრაფი აღდგენა ეკონომიურ ურთიერთობისა სხვა და სხვა ქვეყნებს შორის; უამისოდ კრიზისი თავიდან აცილებული ვერ იქნება ვერც ერთ ქვეყანაში.

ეხლა თქვენ გაინტერესებთ ალბათ, თუ რა გააკეთა ევროპაში ჩვენმა მისიამ. უნდა გითხრათ, რომ დიდი იმედების დამყარება ამ მისიის მუშაობაზე შეუძლებელი იყო; ერთი იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ დრომდის ჩვენ ევროპაში ძალიანი ნაკლებათ გვიცნობდნენ, თუმცა ჩვენმა პოლიტიკურ დელეგაციამ ძლიერ ბევრი იმუშავა ამ მხრივ, მეორეთ იმიტომ, რომ პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც შექმნილი იყო საქართველოს ირგვლივ და ის ხმები, რომელიც იქ ავრცელებდნენ საქართველოს მტრები, ჩვენ მუშაობას ძლიერ აბრკოლებდა. მაგალითად: ადერბეიჯანში საბჭოთა ძალა უფლების გამოცხადების დროს ევროპაში ხმები გავრცელდა, რომ საქართველოშიაც გამოცხადდა საბჭოთა მართველობა, დაიჭირეს ევროპის წარმომადგენლები და ძველი მთავრობა გაიქცაო. ასეთივე ხმები გავრცელდა უკანასკნელად სომხეთში მომხდარ გადატრიალების დროს. ამ ცრუ ხმებმა, რა თქმა უნდა, ცუდი გავლენა მოახდინა ევროპაში და ამან იმაზედაც იმოქმედა, რომ საქართველოს ნაციათა ლიგაში მიღების საქმე ჯერ არ გადაწყდა.

მიუხედავათ ასეთ პირობებისა ჩვენ მისიას მუშაობა არ შეუწყვეტია მართალია დიდ ხანს დაგვჭირდა მუშაობა, მაგრამ ამ დროს უშედეგოთ არ ჩაუვლია.

რა იყო ჩვენი მიზანი? ევროპის განათლებულ ქვეყნებთან ეკონომიურ კავშირის გაბმა, იქაურ კაპიტალის, ცოდნისა და გამოცდილების ჩვენში შემოტანა ჩვენი ბუნების სიმდიდრეების დასამუშავებლათ, ჩვენთან ერთად უცხოეთის კაპიტალის მუშაობა სრულიადაც არ იწვევს რაიმე ცუდ შედეგს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი დემოკრატიისათვის. მართალია, ერთ დროს ბურჟუაზიულ ევროპასთან ლაპარაკისთვის ჩვენ „სოგლაშატელებს“ გვეძახოდენ, მაგრამ სწორეთ იმავე ლონდონში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, იმავე მიზნით ახლა ევროპის კაპიტალისტებს ისინიც ელაპარაკებოდენ და ელაპარაკებიან, ვინც ჩვენ „სოგლაშატელებს“ გვეძახოდენ ჩვენ რამოდენიმე დიდი ხელშეკრულება დავდევით ევროპაში. ერთი შეეხება ტყვარჩელის ქვა ნახშირის დამუშავებას. ეს ხელშეკრულება ჩვენ დავდეთ იტალიასთან. ის გულისხმობს მაღაროების ფართო მასშტაბით დამუშავებას, საქართველოს მიეცემა იმდენი ნახშირი, რამდენიც საჭირო იქნება მისი წარმოების დასაკმაყოფილებლათ. ხელშეკრულება გულისხმობს მთავრობის მონაწილეობას და კონტროლს, ჩვენი კანონების საზოგადოთ და კერძოთ მუშათა კანონმდებლობის ხელშეკრულობას.

მეორე ხელშეკრულება დავდევით საფრანგეთის მეაბრეშუმეობა სინდიკატთან. ამ ხელშეკრულების ძალით ჩვენში უნდა დაშენდეს ისეთი თესლი, როგორიც შეეფერება ადგილობრივ პირობებს. ამის გარდა საფრანგეთის ცნობილი მეაბრეშუმენი იმუშავებენ აქ, რომ ხალხს შეასწავლონ აბრეშუმის კარგი მოვლა. ამ საქმემ ჩვენში ისეთივე დიდი როლი უნდა ითამაშოს, როგორსაც მეაბრეშუმეობა თამაშობს საფრანგეთში და იტალიაში

მესამე ხელშეკრულება შეეხება დაზღვევის საქმეს და შეეთხვ $1^1/_2$ მილიონ სტერლინგი სესხის მიღებას ეს ხელშეკრულებები ჩვენ ინგლისში დავდევით. სესხი მთავრობამ უნდა მოახმაროს ისეთ წარმოებას, რომელიც გარანტიას მისცემს სესხის მომცემს აინაზღაუროს თავისი თანხა, როგორც მაგ., რკინის გზის მოწესრიგება, ნავთსადგურის მოწყობა, სასოფლო სამეურნეო და საფაბრიკო იარაღები და სხ., ნაწილი სესხისა კი ჩვენი ფულის სისტემის, ახალი ფულის შექმნას უნდა მოხმარდეს. ყველა ამ ხელშეკრულებების განხორციელებისთვის საჭიროა დამფ. კრების დამტკიცება. ყველა ეს ხელშეკრულებები მოწმობს იმას, რომ ევროპის მოწინავე სახელმწიფოებს უნდათ ჩვენში, ჩვენთან ერთად მუშაობა. ისინი არ ეხებიან არც ჩვენ შინაურ მართვა-გამგეობას, არც ჩვენ კანონებს. ხელშეკრულებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, როგორც მოგახსენებთ, რომ ისინი დაემორჩილებიან ყველა იმ კანონებს, რომელიც არსებობს საქართველოში. ტყვარჩელის ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ მწარმოებლები დაექვემდებარებიან მუშათა კანონმდებლობას და საქართველოს მთავრობის დაუკითხავათ მათ არ შეუძლიათ უცხოეთის მუშების შემოყვანა, რომ არ ესარგებლით შეუგნებელ ელემენტის გასამდიდრებლათ და მუშათა შორის უთანხმოების ჩამოსაგდებათ. ამ რიგათ თქვენ ხედავთ, რომ აქ სავსებით დაცულია სახელმწიფოს და მუშათა კლასის ინტერესები.

ამ ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარება ევროპიელების პირველი ნაბიჯია გადადგმული. იგი ხელს შეუწყობს ჩვენში წარმოების განვითარებას, მაგრამ ჩვენც ვალდებულნი ვართ მათ ხელი შეუწყოთ. ჩვენ გვწამს, რომ ამ ხელშეკრულებებს მოყვება უფრო დიდი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, რომლის შედეგი იქნება საწარმოო ძალთა განვითარება ჩვენში. საკუთარ საშუალებებით ჩვენ ვერ მოვახერხეთ წარმოების განვითარება, და ეს ადვილი ასახსნელიც არის, ვინაიდან ჩვენზე უფრო დიდ სახელმწიფოებმაც კი ვერ შეიძლეს ომის შემდეგ წარმოების გაძლიერება. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩვენ არასფერი ვაკეთოთ და სხვას ვუცქიროთ. ევროპის კაპიტალის ჩვენში შემოსვლა უნდა იყოს პირველი ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყვეს ჩვენი დამოუკიდებელი მუშაობაც. დღეს ჩვენი ბიუჯეტის დიდი ნაწილი საბეჭდავი მანქანით იფარება და ეს არის ის უბედურება, რომელიც სხვა მიზეზებთან ერთად იწვევს ჩვენი ცხოვრების გაძვირებას საბეჭდავ მანქანასთვის მიმართვა არის ის ტკბილი შხამი, რომელიც ერთსა და იმავე დროს კიდეც გვხიბლავს და კიდეც გვწამლავს. ჩვენც ისე, როგორც განათლებული ევროპა, უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, როცა გვაქვს, რომ ჩვენი მდგომარეობა არ გავუარესდეს. სოფლის მეურნეობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მაგ. ლობრივი მეურნეობამ უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნილებები; ეს აუცილებლად საჭიროა ბიუჯეტის გაჯანსაღებისათვის. ყველა უნდა განიმსჭვალოს იმ აზრით, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაზოგვას და ეკონომიას. ამის გარეშე ჩვენი ხსნა არ არის, დაზოგვის საუცხოვო მაგალითს გვაძლევს გერმანია, სადაც ყოველი მოქალაქე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეკონომიას: ნაკლები მოხმარებას და მეტი შემოქმედებითი ძალას. თუ ჩვენ მოვახერხეთ და ეკონომიის გზას დავადექით, რათა თანასწორობა შევინარჩუნოთ ჩვენს ბიუჯეტში, დადგება ის დრო, როცა ჩვენ შევდგებით სწორ გზაზე, რომელიც ჩვენს „ვალიუტასაც“ რომლის სახეც ეხლა ყველა ლაპარაკობს მიიყვანს ნამდვილ ფულამდე; ხოლო თუ ისევ მანქანას დაუწყეთ ცქერა, ეს სავსებით დასცემს ჩვენი ფულის ღირებულებას და დაღუპვისაკენ წაგვიყვანს.

მძიმე და ეკონომიურ მდგომარეობას განვიცდით, მაგრამ ჩვენ არის პერსპექტივებიც; ეს უკანასკნელი რომ არ იყოს, სხვებიც არ მოისურვებდენ ჩვენში მუშაობას. უმთავრესი იმედი ჩვენს ჯაფას უნდა დავამყაროთ, ხოლო ისინიც უნდა გამოვიყენოთ, ვისაც ჩვენთან მუშაობა უნდათ.

იმ ძალებმაც, რომელნიც ამ ჩვენს სახელმწიფოებრივობას ებრძვიან, უნდა შეიგნონ, რომ გარეშე ურთიერთ ეკონომიურ დამოკიდებულობისა ხსნა არ არის; ეს გრძნობს დღეს უფრო ძლიერი ევროპაც; მით უფრო უნდა იგრძნოს იმათ, ვისი ნივთიერი მდგომარეობაც უფრო მერყეულია.

## წერ. რედ. მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო.

ნება მიბოძე თქვენის გაზეთის შუალებით ღრმესი მადლობა გადაუხადო ბათუმის მუშათა მაგიდის სახელით ქალ. ბათ. მას საავადმყოფო ნებლო მუშების პროფესიონალურ კავშირის წევრებს, რიცხვით 1.. კაცს კვირას 16 იანვარს მუშათა მაგიდის ბ-სტის მოშენებაში უფასო მონაწილეობის მიღებისა და მ-შ ბაში გულწრფელობის გამოჩენისთვის.

ბათომის მუშათა მაგიდის გამგე
ხ. უუფარაძე.

რედაქტორი ქ. ჟამთარაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ
ყოველდღიური გაზ.
„ბათომის ცხოვრებაზე“
თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.
ხელ მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში.
მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

ქართული ენის მასწავლე ელი-ეკონომისტი ჰკისრულობს
სიბუთის ქაღალდების, წესდებების, კანონპროექტების და მოხ ენების
რუსულიდან ქართულად გადათარგმნას.
მგივე ასწორებს ენასა და სტილს (მოთხრობები, სახელმძღვანელოები და სხვ.
იისამართი: სახელმწიფო ბანკი (დონდუკო-კორსაკოვის ქ. № 8) სათ.
4—$7^1/_2$ სათ. ბრ ზორბაძე.
(3—1) 4—2—15.

ბ...ქ..ო მბეჭდავი სტამბა ხ. ვ. ხმალაძისა, მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.